სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/25

ქ. თბილისი 18 მარტი 2022 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად პროფესორების მოწვევის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის #01-05-04/162 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ფაკულტეტების დეკანების, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 მარტის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად პროფესორების მოწვევის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის #01-05-04/162 დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დანართებში და უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეული იქნენ შესაბამის დანართში მითითებული პროფესორები:

1. სამშენებლო ფაკულტეტი (დანართი 1);
2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (დანართი 2);
3. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (დანართი 3);

4. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (დანართი 4);
5. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (დანართი 5);
6. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (დანართი 6);
7. დიზაინის საერთაშორისო სკოლა (დანართი 7);
8. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი (დანართი 8);
9. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი (დანართი 9).

2. დადგენილება ძალაშია 2022 წლის 14 მარტიდან.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**